გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ. — კ.
11	,, . .	9 ,, 50 ,,
10	,, . .	8 ,, 75 ,,
9	,, . .	8 ,, — ,,
8	,, . .	7 ,, 25 ,,
7	,, . .	6 ,, 50 ,,
6	,, . .	6 ,, — ,,
5	,, . .	5 ,, 50 ,,
4	,, . .	4 ,, 75 ,,
3	,, . .	3 ,, 50 ,,
2	,, . .	2 ,, 75 ,,
1	,, . .	1 ,, 50 ,,

ივერია

№ 288 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 288

წლიურის ფასის ნაწილ. ნაწილად შეგიძლიანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოეცხრება.

განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმპერ-ესპანეთის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტცლის და ამხ.-ის განცხადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაურია სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.

ქართული წარმოდგენა ვეტცელის თეატრში

ხარასკევს, 17 დეკემბერს

ქ-ნთ ნ. ჩხეიძისა, ოლ. ლეკვასი, ნ. ჯავახიშვილისა ნებიერიძის და ბ-ნთ ვ. გუნიასი მ. ქორიძისა, შალიკაშვილისა და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

უგელდური ნაბიჯი — დრამა 3 მოქ. კარეევისა

თაგვის ბრალია — ვოდევილი 1 მოქმედ.

დასაწყისი 8½ საათზედ.

წარმოდგენას დასდგამს ვ. გუნია.

სადღესასწაულო საჩუქარი

გამოვიდა და ისყიდება უკვლა ქართულ წიგნის მაღაზიაში «ქართველ ქალთა წრის» მიერ გამოცემული

„ზღაპრები“

წიგნში მოთავსებულია მხატვრის ო. შმერლინგის მიერ დასურათებული ჩვიდმეტი ხალხური ზღაპარი. წიგნი დიდის ფორმატისაა, შეიცავს 160 გვერდს და ღირს 1 მანეთად 30 კაპ.

წარმოდგენა № 4.

ვეტცელის თეატრი

(მიხეილის პროსპექტი)

კვირას, 19 დეკემბერს,

ქართულის დრამატიულის დასის-მიერ

წარმოდგენილი იქმნება

პეპო

კომედია 5 მოქმ., გ. სუნდუკიანისა.

მოუნაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ლეკვეკა, ჯავახიშვილი, ნებიერიძეა სხვ.; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, ივანიძე, შალიკაშვილი, იორდანაშვილი, ქიკიძე და სხვანი.

ადგილების ფასი: 1 რიგი—1 მან. 50 კ., 2, 3-1 მ. 25 კ., 4, 5 და 6—1 მან., 7, 8—80 კ., 9, 10—70 კ., 11, 12—60 კ., 13, 14 და 15—50 კ. ბალკონზედ ფეხზე დგომა—30 კაპ.

დასაწყისი 8 საათზედ.

ადმინისტრაცია ამხსნაგობისა.

მთარიგი რეჟისორი ვ. აბაშიძე.

ტფილისის სახალხო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

ხარასკევს, 17 დეკემბერს,

წარმოდგენილი იქმნება

მაზეპა

შუსიკა ჩაიკოვსკისა.

მოუნაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტულლერ, შიხუცკაია-მინჩენკო და სხვ.; ბ-ნნი სიკორსკი, პოლუეიანოვი, დემიანენკო, სპერანსკი, ზალინსკი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჯიოვანნი.** პრიმა-ბალერინა **ლენინეფსკაია.**

კაპელმეისტერი ან. ეიხენვალდი.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეზეკინი

ფასები ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

ხუთშაბათს, 18 დეკემბერს,

გასტროლი სიმპეტრატ. თეატრის არტისტ. ქალის ნადეჟდა ამბროსის ასულის **პაპაიანისა.**

წარმოდგენილი იქმნება

რიგოლეტო

შუსიკა ვერდისა.

კვირას, 19 დეკემბერს,

წარმოდგენილი იქმნება

რუსალკა

ოპერა დარგომიჟსკისა.

ოთხშაბათს, 22 დეკემბერს,

კასსა «Location»-ის კასირ-ქალის სასარგებლოდ

წარმოდგენილი იქმნება

ევგენი ონეგინი

ოპერა 3 მოქმ. და 7 სურ., შუს. ჩაიკოვსკისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად **ბანდარინის ფვილი»,** ც. კიუისა.

ბილეთები იყიდება.

გამგე ი. კეფლერი.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების

გამგეობა

რადგანაც 12 დეკემბერს დანიშნული კრება არ შესდგა წევრთა საკმო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, რადგანაც კრება საზოგადოებისა დანიშნულია ხელ მეორედ სამშაბათს, 21 დეკემბერს საღამოს 8 საათზედ სამეურნეო ბანკის დარბაზში 3) და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

განსახილველი საგნები:

1. ბ. ბ. ზუბალაშვილების შემოწირულების შესახებ.
2. მოხსენება ქართულ თეატრის შესახებ.
3. მოხსენება ადმისრულებელ კომისიათა შესახებ.
4. ხარჯთ-აღრიცხვა მომავალის წლისა.
5. ქ. დრ. რ. მომავალი 25 წლის იუბილეის პროგრამმა.
6. ახალ წევრების არჩევანი.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ეორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დღლაბები:

უ. ბ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ბ. ავეტისიანიანი. 11—12 საათამდე—ყანისა, და ვენერიულ ხიროურგიულ ავადმყოფობისა

ზ. ი. ბაბანანოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ. ავადმყოფობანი.

კ. ი. ბაქელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. ბ. ქარაპეტიანები. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ბ. სოლოლაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. ზაქარიანინა.** 1½—2 საათ. ქალისა და საბებია ავადმყოფობისა.

სალამოს ბი:

ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. არდაზიანი. აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 5 7 საათ.

ს. ტ. არეანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სანლში და მსურველთ მასსაჯს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირეკტორი სამკურნალოსი დოკტორი **ა. ბაქელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіина.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

ნლ.

ტფილისი, 17 დეკემბერი.

მძიმე და რთული საგანი აქვს გადასაწყვეტი ქუთაისის საზოგადოებას: მოესთოს დღენი საურთიერთო ნდობის ბანკსა თუ გამოიძებნოს სიცოცხლის ელექტრი, რომელმაც კვლავ უნდა ჩაუდგას სული ამ უსაპირფოესს დაწესებულებას.

დღეს ჩვენში კიდევ მრავლად მოიპოვებიან ისეთი გულუბრყვილო ქართველები, რომელნიც უარს ჰყოფენ ყოველს ბანკს, მამულის დამგირავებელს თუ თავასუქებით ფულის გამცემს. ბანკმა დადუმა ჩვენი თავად-აზნაურობის მამულდედულოო, გუფლის ტაკენი გაიძახიან ერთნი; ბანკის თამასუქებმა გაკაკოტრა ყველა, ვისაც კი რაიმე ნდობა ჰქონდა თავისის ქონებითაო, ირწმუნებიან მეორენი. მასთან ორივე მხარე შეიარაღებულია მრავალის საბუთებით, უთვალავის მაგალითებით და სულ თითებზედ ჩამოგითვლიან იმათ სახელსა და გვარს, ვინც შექმნილა მსხვერპლად ბანკების ალებ-მიმცემლობისა.

ამავე დროს თქვენ ჰხედავთ, რომ ვერც ერთი განათლებული ქვეყანა ფეხს ვერ გადასდგამს ბანკის დაუხმარებლივ. რამდენიც ხალხი წინ მიდის, იმდენი სოკოსავითი მრავლდება სხვა და სხვა ბანკური დაწესებულება, თუ კი თვით ბანკს თვისებად დაჰხლია, რომ ყოველი თვისი კლიენტი ნარიეალზედ გაიყვანოს, ჸირიდამ ლუკმა გამოაცალოს და სიღარიბის უფსკრულში გადაყაროს სულიან-ხორციანად, შვილიანდედიანად. მაშ, რატომ განათლებული ქვეყნები არ გაინთავისუფლებენ თავს ამ მავნე და მაზარალებელ ბანკებიდამ, მაშ თავიანთ მრეწველობასა და წარმოებას რათ აფუძნებენ ბანკების უხე დაჰმარებაზედ? აი საკითხი, რომელიც არ მოსდის ფიქრად არც ერთს მოწონაადმდეგეს ბანკების მოქმედებისას. საკმარისია მარტო ამ საკითხის ზერე-ქვერე ახსნა, რომ საპნის ბუშტივითი გაიფანტოს ყოველივე ეპვი ბანკის აუარებელ სარგებლობისა. ბანკი დიდი ზურგია ქვეყნის სამეურნეო და სავაჭრო გაძლიერებისათვის, და თუ იგი ჩვენში ვერ ასრულებს თავის უმაღლეს დანიშნულებას, ეგ მხოლოდ ბრალია ჩვენის მოუმზადებლობისა, ჩვენის გამოუცდელობისა და უმეცრებისა. ჩვენ ჯერ არ ვიცით ფულის ყადრი. ბანკიდან ჩვენ ფული გამოგვაქვს არა სამრეწველო და საალებ-მიცემო წარმოებისათვის, არამედ სახარჯოდ და საქეიფოდ. რასაკვირველია, ასეთის შეხედულობის მოვალეს უნდა გამოეცალოს ხელიდან სარჩო-საბადებელი. მერე აქ ბანკი რა შუაშია?!

იტყვიან, რაკი მაგრეა, მაშ, ბანკი მაშინ გაუხსნათ ხალხს, როდესაც იგი შეიგნებს ფულის ყადრს, კრედიტის ძალიერებასაო. საქმე ის გახლავთ, რომ ცხოვრების ქეშმარიტებას რიდი აქვს ისეთი თვისება, რომ შესაძლებელი იყოს მოუმზადებლივ გადაიტანოთ ერთის ტკბილიდან მეორისაში. მარტო საკუთარის გამოცდილებით, მარტო საკუთარის შეცდომებით სწავლობს ყოველი ბავშვი სიარულს; ვიდრე ათასჯერ არ წაიქცევა და ბევრჯელ ცხვირსაც არ გაისისხლიანებს, მანამდე ვერ ისწავლის ფეხის გადადგმას, ვერ გაიგელის თამამად და სირბილს ხომ ვერას გზით ვერ მოახერხებს. ასეთსავე დღეშია ყოველი ხალხი, ყოველი საზოგადოება.

ეს დღე უნდა გამოიაროს ბანკის კლიენტმაც და მხოლოდ მაშინ მიჰხვდება, რა სასწაული შესძლებია კრედიტს, ნდობას და ფულის ალებ-მიცემას. მეტადრე მოკლე ვადიანი კრედიტი, რომელზედაც აშენებულია საურთიერთო ნდობის ბანკი, სწრაფი მასწავლელელი და მწურთვნელია საზოგადოებისა, და ამიტომ ყოველი ლონისძიება უნდა იხმაროს ქუთაისმა, რომ თავისი ბანკი, რომელსაც ათას ხუთასი წევრი ჰყოლია, გამოიყვანოს დღევანდელ განსაცდელიდან და არ მოაკლოს მთელს მხარეს ჩვენის პატარა ქვეყნისას იაფი და ხელმისაწვდომი კრედიტი. სირცხვილი იქმნება ქუთაისის საზოგადოებისათვის, თუ იგი თავის ჩინებულ დაწესებულებას შეეხეგვას ცხოლად რევიზორის თვალით, რომელსაც ყველგან ცხოლად დამნაშავეები ელანდებიან. დინჯად შეეხედეთ და აშკარად დაინახავთ, რომ ქუთაისში ჩვენ დანაშაულობასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ შეცდომასთან, რომელიც გამოიწვია სამართლიანმა წადილმა შავის ქვის წარმოების გაძლიერებისმ. ვინ იყო გულთმისანი, გამოეცნო, რომ ეს წარმოება დროებით შეფერხდებოდა და განსაცდელში ჩაადგებდა ჩინებულს დაწესებულებას? აქ გამოცდილება იყო საჭირო. რა უყოთ, რომ ცდამ ცხვირი გაგვისისხლიანა! აქ განგაში კი არ უნდა, არამედ ბრძნული წინდახედულობა, რომელიც შემდეგში სასარგებლოდ გამოიყენებს დღევანდელ შეცდომას. ვისურვებთ, რომ ქუთაისი გამარჯვებით გამოვიდეს ამ განსაცდელისაგან.

უარესი დღენი გადაჰხედია ტფილისის საურთიერთო ნდობის ბანკს, სადაც, შეცდომის გარდა, კიდევ სხვა რამეებსაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ საზოგადოებას თავის შინაურობაშივე დაუდგია მალამო იარებისთვის და საქმე გამოუბრუნებია. არც ტფილისის კომერციულ განკის წინ-სვლა ყოფილა შეუფერხებელი, მაგრამ აქაც კეთილ კონიერებას უშეეელნი წევრთათვის და დღეს ამ ბანკის ალებ-მიცემობას და მის წარმატებას შეჰხატრის ბევრი სხვა ბანკი.

ქუთაისის გამარჯვება და მისი კეთილ კონიერება ამ გაჭირვებულ დროს მხოლოდ ფრთას შეასხავს ქართულ სხვა საკეთილო საქმეებსაც. ჩვენში არა ერთი სასარგებლო დაწესებულება ჩაეუშალა ფინდაუნედავ განგაშისაგან. როცა რომელსმე ჩვენს მეზობელს ფეხი წაუბორძიდება, არა თუ მტრები, მოკეთენიც მისცვივან და წიხლს აკერენ, რომ ეს, გინდ ერთ დროის საკვარელი, მეზობელი უფრო ჩაეფლოს ტალახში და ვეღარ მოახერხოს ფეხზედ წამოდგომა. უფრო მომეტებულ სიმაკრეს ვიჩენთ, როდესაც ფეხი წაუბორძიდება ჩვენს თვით უდიდეს დაწესებულებასაც კი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ განსაცდელის დღეს ქუთაისის საზოგადოება არ გამოიჩენს ასეთს უგუნურს და უადგილო სიმაკრეს, ასეთს წინდაუხედველობას და ყოველის ღონით უშველის წამხდარ საქმის გამობრუნებასა.

ეს არის ჩვენი უგულითადესი ნატვრა.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

—

იაპონიის ფლოტი ინდოეთის ოკეანესთან. «რუს ვედ.»-ის სამხედრო მიმომხილველი ვ. მ. სწერს: დეპეშამ ფრიად საყურადღებო ამბავი გვაცნობა: 9 დეკემბერს სინგაპურში იაპონელთა ორი მაშველი კრეისერი მოვიდა—„ჰონკონგ-მარუ“ და „ნიპონ-მარუ“. ამ კრეისერებს მოჰყვა და სინგაპურთან, ე. ი. ინდოეთის ოკეანესაკენ გაიარა იაპონიის ესკადრამაც. ამ ესკადრას შეადგენდა 2 საესკადრო ჯავშნიანი გემი, 2 პალუბა-ჯავშნიანი გემი და 12 ნაღმოსანი. ამ რიგად, იაპონიის ფლოტის მოწონავე რაზმი, ადმირალის კამიმურის უფროსობით, ინდოეთის ოკეანეში შევიდა. ბევრს იმედი ჰქონდა, იაპონიის ფლოტი პესკადრონის კუნძულებსა და სამხრეთ-ჩინეთის ზღვას არ გასცილდებაო, მაგრამ, როგორაც სჩანს, ეს ტყუილი იმედი ყოფილა. თუ ადმირალ კამიმურას დივიზიის ტოგოს ფლოტიც გაჰყვა, ბრძოლის ველი დიდი ოკეანე კი არ იქნება, არამედ ინდოეთის ოკეანე. ადმირალ ნელსონის დროის შემდეგ (ნელსონი ინგლისის განთქმული ადმირალია), პირველად უნდა მოსახდეს ზღვაზედ ისეთი დიდი ბრძოლა, რომლის დროს ორივე მოპირდაპირე ესკადრა ერთმანეთის ზღვის ნაპირებთან კი არ შეებმიან, არამედ გაშლილსა და შუა ზღვაში. აქ ესკადრის უფროსთა, მარტოოდენ სტატეტიკო რთულ მოსაზრების გარდა, მნიშვნელოვან სტრატეგიულ საკითხთა გადაწყვეტაც მოუნდებათ. ინდოეთის ოკეანეზედ მომავალ ბრძოლის ბედი დამოკიდებულია, ჯერ ერთი, რუსეთისა და იაპონიის ესკადრების ქონებრივ ძალასა და მეზღვაურთა ღირსებაზედ და, მეორე და უმთავრესი — ძლიერ ესკადრათა უფროსების, ვიცე ადმირალის როჟეს ტვენსკისა და ადმირალ ტოგოს შორს-მჭვრეტელობასა და ნიჭზედ. შესაძლებელია, რომ ადმირალი ტოგო ინდოეთის ოკეანესკენ მხოლოდ როჟეს ტვენსკის შესაშინებლადა და თვალის ასახვევად წამოვიდა, ნამდვილად კი როჟეს ტვენსკის იქნება ზონდის კუნძულებთანაც დაუხვედეს. ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო იმიტომ არის შესაძლებელი, რომ ინდოეთის ოკეანეს გადაჭრის დროს მუსონები ტოგოს ესკადრას ცოტად თუ ბევრად დაეზიანებს. ტოგოს ესკადრა დიდ ოკეანეში რომ დარჩეს, ჯერ ერთი, 3500 მილის გავლა არ მოუნდება (იმ ადგილამდე, სადაც შესაძლებელია ორივე ესკადრა ერთმანეთს შეეხვდეს) და, მეორე, როჟეს ტვენსკი იძულებული იქნება ტოგოს ესკადრას დიდ მანძილის გავლით დაღლილ-დაქანცული შეებრძოლოს. მაგრამ ტოგოს ესკადრა ინდოეთის ოკეანეს გადაჭრით შესაძჩნევად არ დაზიანდება. იოკოჰამიდგან სინგაპურამდეე იაპონის ფლოტმა უკვე 3,250 მილი გაიარა, ე. ი. იაპონისა და კუნძულ მადაგასკარის გზის თითქმის ნახევარი. ადმირალ ტოგოს ეხლა საკუთარი ბინა და თავშესაფარი არა აქვს, მაგრამ მაინც წინ მიდის. ეს კი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ტოგომ ერთი უძნელესი საქმე მოახერხა და თავის ესკადრას ნახშირი უშოვა. ეხლა იაპონელთათვის სულ ერთია, როჟეს ტვენსკის ესკადრას თავიანთ სამშობლოდგან 3 თუ 6 ათას მილზედ შეებრძოლებიან. საქმე მხოლოდ იმაშია, იაპონიის ფლოტის გადასვლა აფრიკის ნაპირებთან ღირს თუ არა. ადმირალ ტოგოს ეხლა ძნელი საქმე აქვს გადასა-

წყვეტი—როჟესტვენსკის ესკადრი ყველა რაზმს შეერთების ნება არ უნდა მისცეს და ცალ-ცალკე დაამარცხოს. ეხლა ადმირალ ტოგოს ჯიბუტამდე, სადაც ამ ცოტა ხანში იდ. ფელკერზამის რაზმი იდგა, 3,750 მილის გავლა მოუნდება, ფელკერზამის რაზმი კი როჟესტვენსკის მთავარ რაზმისგან (კეთილ იმედის კონცხამდე) 4900 მილით არის დაშორებული; მაშასადამე, ტოგოსა და ფელკერზამის რაზმებ შუა უფრო მოკლე მანძილია, ვიდრე ფელკერზამისა და როჟესტვენსკის შუა. აქედან ცხადად სჩანს, რომ რუსეთის ფლოტის ორივე რაზმი ციელონისა ᲕᲔ სინგაპურისკენ ცალ-ცალკე კი არ უნდა წავიდნენ, არამედ ერთმანეთის შესაერთებლად: ფელკერზამი სამხრეთისკენ უნდა წავიდეს, როჟესტვენსკი კი ჩრდილოეთისაკენ. ორივე რაზმი ერთმანეთს დაახლოვებით მოზამბიკის სრუტესთან შეხვდებიან.

ინდოეთის ოკეანესაკენ ტოგოს ფლოტის გამგზავრების დიდი სტატეგიული მნიშვნელობა აქვს: ადმირალი ტოგო ხელად მადაგასკართან გაჩნდება და მესამე ესკადრისა და როჟესტვენსკის ფლოტის შეერთების ხელს შეუშლის. თუ იაპონელები დიდ ოკეანეში დარჩნენ, ადმირალი როჟესტვენსკი მესამე ესკადრას შეეერთებს და ერთი ორად გაძლიერებული იაპონისაკენ გაემგზავრება. თუ იაპონის ფლოტი ინდოეთის ოკეანეში შევიდა, ბრძოლის ადგილიც და დროის არჩევა ტოგოზედ იქნება დამოკიდებული და ინიციატივაც იმას მიეკუთვნება. ამ შემთხვევაში როჟესტვენსკი ძალიან წაგებს, რადგან ინიციატივასაც დაჰკარგავს და სატეგ ბრძოლის მაგივრად საგერ ტაქტიკას დაადგება (რ. ვ.).

—

თუ გუშინდელსა და დღევანდელს დეპეშებს დაუჯერებთ, ადმირალ ტოგოსა და კამიმურას, ამ ცოტა ხანებში ტოკიოში მოელიან; მაშასადამე, ინდოეთის ოკეანისაკენ წასული რაზმი ტოგოს ესკადრა კი არა—ადმირალ ურიუს მზვერავი რაზმი ყოფილა. მაგრამ ვინ იცის, იქნება ეხლა ტოგო ინდოეთის ოკეანისაკენ მიდის, იაპონელები კი როჟესტვენსკის თვალის ასახვევადა და მოსატყუებლად, სწორედ ისეთ დეპეშებს გზავნიან, რომელიც როჟესტვენსკის მოტყუებას ხელს უწყობს.

—

ადმირალ ტოგოს მოხსენება. რეიტერის სააგენტო ტოკიოდგან იუწყება: 8 დეკემბერს საღამოს 10 საათზედ აქ ადმირალ ტოგოს შემდეგი დეკეპეშა მოვიდა: «ჩვენის მეზღვაურების მიერ დატყვევებული რუსი ამბობს, იაპონელთა მოხსენება შესახებ «სევასტოპოლ»-ზედ იერიშის მიტანის შედეგისა მართალიაო. 30 ნოემბრიდგან «სევასტოპოლ»-ს 8 ნაღმი მოხვდა. «სევასტოპოლ»-ი დაზიანებულია, ყველაზედ კარგად 2 დეკემბერს ღამე ნა სროლი ნაღმი მოხვდა. ჩვენ შევამჩნიეთ, რომ «სევასტოპოლ»-ის მეზღვაურთა. შორის აუტ-ზაური და ალიაქოთი ატყდა. ჩვენი ნაღმი გემის მარცხენა მხარეს მოხვდა და ვვერ ᲕᲔ ფუტის სიგრძეზედ შეუნგრია. ეხლა «სევასტოპოლ»-ი ბორე ნავთსადგურში ზღვის ძირზედ სდგას და წყალი მეორე ბანის ზარდნებს სწვდება. გემი მარცხენა მხარეზა გადახრილი. ერთი ნაღმისანი მარჯვნივ უდგა, მეორე ნაღმის ჩამწყობი გემი—მარცხნივ და კიდევ ერთი სხვა გემი «სევასტოპოლ»-იდგან წყალს იღებენ, მაგრამ, მგონი, გემს იმდენად ვერ შეაკეთებენ, რომ ზღვაში გასვლა მოახერხოს. ტყვეს ნალაპარაკევიდან სჩანს, რომ 3 დეკემბერს ღამე ერთი ჩვენი ნაღმი მოხვდა რუსების ნაღმისანს, რომელიც გაიჩიყა».

8 დეკემბერს ღამის 11 საათზედ ტოგო მეორე დეპეშით იტყობინებოდა: «მე თვითონ დავინახე, რომ «სევასტოპოლ»-ი, რომელზედაც ჩვენმა ნაღმისნებმა იერიში მიიტანეს, ეხლა შენტაბშანის ნაპირიდგან 400 მეტრის მანძილზედ სდგას. იმ ადგილას წყალი ღრმა არ უნდა იყოს, რუსები გემიდგან წყალს იღებენ; გემი 10 გრადუსზეა გადახრილი და შუბლი თითქმის მოლად წყალში აქვს. არა მგონია რუსებმა ეს გემი იმდენად შეაკეთონ, რომ ზღვაში გამოსვლა შეეძლოს. თუ პორტ არტურის მდგომარეობასაც მხედველობაში მიეიღებთ, დარწმუნებული ვარ, რომ «სევასტოპოლ“-ი საბრძოლო

დასახლდა თავის ცოლ-შვილით. სკოლის მოწყობილება კი რაც და როგორიც იყო, მღვდელს ფეჩში გაექანებინა, ისე რომ X-ს ერთი ნაფოტიც არ არგუნეს, რადგან მღვდელი ძალზედ მცივანა არის და ხმელმა ფიცრებმა ცოტა არ იყოს გვერდები შეუთბუნა, მით უმეტეს რომ რეხელებს ამ ზამთრისათვის მისთვის შეშის მოტანა არ უკისრნიათ და არც მოვალენი არიან.

X-ს როგორც პირველში, ისე ახლაც გაუხდა თავში საცემად სკოლისათვის ოთახის მონახვა, აგრეთვე მისი მოწყობა. მერე ისიც სად? რეხაში, სადაც ლურსმანი უშვილობის წამალზედ ძნელი საშოვნელია, არამც თუ სხვა რამისა.. დალოცვილ მღვდელს რომ სკოლა არ მიეფუტკნ-მოეფუტკნა, მისი მოწყობილობა ფეჩის წერად არ გაეხადნა და იმ სახლებში არ დამდგარიყო უთუოდ, განა უფრო კარგ სახლს ვერ დაიჭერდა.. ასე რომ მომხდარიყო, მასწავლებელის მოვლისათანავე ხახა-მშრალი არ დარჩებოდა... და ბავშვებს იმ დღიდანვე დააწყებინებდა სწავლებასა, მაგ. რამ სადაა? სად?.. ამ ჟამად ერთ ერთ ბნელს ოთახში სწარმოებს ბავშვების სწავლება და, თუ რომ ღმერთმა იპრიანა და ჩქარა დამთავრდა ახლად დაწყებული სასკოლე შენობა, მასწავლებელსა და მის მოწაფეთა ბედს ძალლი არ დაჰყეფავს...

ამ ჟამად რეხაში ცეცხლის ლული ტრიალებს: უამინდობა იტიროს კაცმა, ძნების აჯეჯილება, სარჩოს გაულეწაობა, საქონლის შიმშილი, ადამიანების კვნესავაება შიმშილის მოლოდინში თუ რა?.

ამ დღეებშია წალკელ მცხოვრებთ ორ სომეხს და სამს ბერძენს ცხენებით პური მოჰქონდათ ჯავახეთიდამ; რეხელების საძოვარ მთის მიჯნის სიახლოვეს, ნამქერს მოუსწვრია. აქეთ იქით მიხეთქებმოხეთქებაში შემოღამებიათ და ორი სომეხი და ერთი ბერძენი თოვლის ნამქერს დაუხვრჩია; ორი ბერძენი კი მამაშვილნი გადარჩნენ, რადგან თავიანთ ცხენებს თავი დაანებეს, ნამქერს ზურგი უჩვენეს და ქარ-ბუქმა ისინი შორს სომეხთ სოფელში იერიშით ჩაარბევინა.

თავ-გამეტებული.

რუსეთი

«ს-პეტერბურ. ვედომ.» იუწყება: «ვიდრე შინაგან საქმეთა სამინისტრო არ განიხილავს საერობო თვითმართველობის ახალს დებულებას იმ გუბერნიებში, სადაც საერობო დაწესებულებათა შემოღება უნდოდათ, საერობო დაწესებულებებს ჯერ-ჯერობით არ შემოიღებენო.

— გზათა სამინისტრო ავალებს რკინის გზის უფროსებს, რომ 19 თებერვალს რკინის გზის სახელოსნოებში მუშაობა არ შეჩერდეს; მსურველ მუშათ ეკკლესიაში წასვლის ნება მიეცეს, ხოლო ამ მუშათ გამოტოვებული სამუშაო დღის ჯამაგირი გამოერიცხოსო. (რ. ვ.).

— ტვერის საერობო და საზოგადო მოღვაწე ა. ი. აპოსტოლოვი და ნაფიცი ვექილი ს. ა. ბალავინსკი 6 დეკემბერს გაუნთავისუფლებიათ. ორივენი განსვენებულის ვ. კ. პლევეს განკარგულებით იყვნენ გაგზავნილნი; აპოსტოლოვი გადასახლებული იყო დიაკოვის მამულში (ტვერის გუბ.) 3 წლით. ბალავინსკი კი არხანგელსკში 5 წლით. (რ. ვ.)

— პეტერბურგიდგან «რუს»-ი იუწყება ერთ საინტერესო ამბავს, რომელიც საიმპერატორო კაცთ მოყვარეობის საზოგადოების გიმნაზიაში მომხდარა: ამ გიმნაზიის მოსამზადებელ კლასში სწავლობს ობოლი პეტია კ—სკი. ბავშვი ცერ ასწრობდა ყველა გაკვეთილების მომზადებას და ინსპექტორმა მეხუთე კლასის მოწაფე დაუნიშნა რეპეტიტორად. როგორც გამოირკვა, თავის უვიცობით რეპეტიტორმა ბავშვი სრულად გამოალენჩა და ბოლოს ინსპექტორთანაც დააბეზღა:—პეტია კ—სკი ზარმაცობს და ვერაფერი შევასმინეო. იმსპექტორმაც არც აცია და არც აცხელა და მეეზოვეს უბრძანა, კ—სკი გაროზგეო. ბრძანებაც დაუყოვნებლივ აასრულეს. ბავშვი ატირებული და დალურჯებული მოვიდა კლასში და ყველაფერი ამხანაგებს უამბო. ერთი ჩვენი თანამშრომელი და კ—სკის დაი გიმნაზიაში მივიდნენ და ბავშვი დაიბარეს. ბავშვი და მისი რეპეტიტორი გამოვიდნენ. რეპეტიტორმა გამოაცხადა: პეტია ზარმაცია და გიმნაზიაში ხმა გაავრცელა, ვითომ იგი ჩვენ გაგვეროზგოს. დამ თავის ძმას ჰკითხა: მართლა ხომ არ გაგროზგესო, მაგრამ რეპეტიტორმა ისეთის თვალით გადახედა ყმაწვილს, რომ საბრალომ ძალაუნებურად უარი განაცხადა, არავის არ გაუროზგივარო. მაგრამ როცა რეპეტიტორი წავიდა, პეტიამ ყველაფერი დაწვრილებით უამბო დას და გიმნაზიის ბევრი სხვა «კაცთ-მოყვარეობის» უწესოებაც გამოააშკარავა. საბრალო ბავშვს ეს არ აკმარეს და ექვს დეკემბერს შემდეგ ნაირად დასაჯეს: მთელი თავისუფალი დრო $10^1/_2$ საათამდე ბავშვი ფეხზე გაჩერებული იყო შუა დარბაზში. გარდა ზნეობრივ დამცირებისა, ეს სასჯელი ფიზიკურადაც სტანჯავს ყმაწვილს. პეტია კვირას მივიდა თავის დასთან, მაგრამ, ამ უკანასკნელ სასჯელზე არა გაამხილა რა, რადგან შეეშინდა გიმნაზიიდან არ გამამაგდონ და ჩემს, ისედაც შევიწროვებულ მდგომარეობაში მყოფ დას, მეტ ბარგად არ დავაწვეო. ბავშვი ამის შემდეგ დაბეჩავებული, შეშინებული და დამცირებულია.

— ნიჟნი ნოვგოროდიდგან «რუს. ვედ.» ატყობინებენ: ადგილობრივმა ოლქის სასამართლომ ლუკიანოვსკის «ისპრავნიკ» ის ზავალიშინის საქმის გარჩევის დროს გამოარკვია, რომ ზავალიშინი ვაჭრობდა სტაროსტის სახელზე გაღებულ დუქანში, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობას იღებდა: თითონ დუქანშიაც ვაჭრობდა, დადიოდა სხვა და სხვა ქალაქებშიც საქონლის საყიდლად; პოლიციელები კი ახლად მოტანილ საქონლის «ანონსებს» დაატარებდნენ. ეს პოლიციელები შინაგან სამინისტროს უწყების სამსახურში ალბად შეცდომით ირიცხებიან. ნამდვილად კი ფინანსთა სამინისტროს უნდა მიეწერნენ. ბრალმდებელმა ზავალიშინის მოქმედება უკანონოდ სცნო და საქმე სისხლის სასამართლოს გადასცა.

— «იუჟნ. ობ.» იუწყება: ელისავეტოგრადის საბჭოს კრება 29 ნოემბერს დიდის არეულობითა და ჩხუბით გათავდა. რაბინმა ტემლინმა საბჭოში წინადადება შეიტანა — ვიშუამდგომლოთ, რომ ებრაელთაც მიეცეს არჩევნებში ხმაო, მაგრამ საბჭომ ამას ყურადღებაც არ მიაქცია. დარბაზში ასტყდა სტვენა და ყვირილი. 30 ნოემბერს იმავე საბჭოს კრება, რომელსაც უნდა განეხილა შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა, უცნაურსა და არა ჩვეულებრივს გარემოებაში მოჰხდა. ერთი პოლიციელი ძირს კიბეზედ იდგა, მეორე კი საბჭოს დარბაზის გვერდით ოთახში დასეირნობდა, დრო-გამოშვებით საბჭოს დარბაზში იხედებოდა. ბოლოს პოლიციის ბოქაულის თანაშემწეც მოვიდა.

— საერო განათლებაზე 1904 წელს ყველაზე მეტი დაუხარჯავს ვიატკის საერობოს, მთელ შემოსავლის $24,_6$ %, ამაზე ბევრად ნაკლები კურსკისას—$17,_1$ %, ვორონეჟისას—$16,_8$, მოსკოვისას—$15,_9$, პოლტავისას—$15,_9$, ხარკოვისას—$14,_4$, ნაკლები წინსვლა ეტყობა დანარჩენ საერობოს: სიმბირსკისას—$4,_1$, კალუგისას და ტულისას—$3,_7$, ორლოვისას—$3,_1$, და ტავრიდისას—$2,_9$ %. (პ. ზ. ვ.).

— 1904 წლის 34 გუბერნიის ერობის ხარჯს 37.444,599 მან. შეადგენს. წარსულ წლის ხარჯზედ 1.989,780 მანეთით, ანუ $5,_6$ % მეტი (პ. ზ. ვ.).

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

საინტერესოა მსჯელობა ბ-ნის სერენკისა გაზ. „გრაჟდანინში“ იმაზედ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ომს.

«ომს, როგორც ყოველ სხვა სტიქიონს თავისი საკეთილო თვისებაც აქვს. იგი სწმენდავს და აბრძმედებს ერის სულს, აცლის მშვიდობიან ცხოვრებით მოკიდებულს ჭუჭყსა და ჟანგს. ომი აღვიძებს ეროვნულს თვით-ცნობიერებას, აკავშირებს არსებობისათვის ბრძოლით გამოწვეულს აქეთ-იქით გადტოლვილს ნაწილებს საერო და სახელმწიფო აგებულებისას. ომის მეოხებით თვალნი სიკვდილისანი დასცქერის მთელს ერს. მისივე მეოხებით იბადებიან კაცნი, რომელნიც უშიშრად შესცქერიან ამ საშინელს თვალებს, იბადებიან გმირნი.

მარტო ის ერი და ქვეყანა შეინარჩუნებს შემდეგ ომისა (გამარჯვებით გათავდება თუ დამარცხებით) თვისსა ფიზიონომიას, რომელთაც სცადეს სამშვიდობო ღონისძიება თვისის არსებობის დასაცველად; მხოლოდ მაშინ ვერ შეარყევს ომი მკვიდრთა საზნეობო, საეთიკო ბურჯებს და არ გადიქცევა წინდად რეგრესისა, როცა სისხლის ნაკადულებსა და ომის საშინელს მხეცობას მაღლიდან დასცქერის ცხრა-თვალ მზესავით ხორც-უსხმელი იდეალი, შეგნებით შეთვისებული ერისაგან ელემენტარულ განვითარებასთან ერთად. ყოველგვარი სხვა ომი, საეპვო თუ საგარო, სახელმწიფოს სახელისათვის თუ ნივთიერ გამორჩენისათვის დაწყებული, აუცილებლად ჰრყვნის და ათახსირებს საზოგადოებრივსა და საერო სვინიდისს. უხეში, ტლანქი პროზა ომისა, რომელსაც არ ამართლებს საერო და საზოგადოებრივი სვინიდისი, მოუწოდებს რეაქციას, უკანდახევას, მიჰმართავს ოცნებას. სისხლით აძრული ფანტაზია ჰხატავს იდეალებს, რომელიც სრულიად წინააღმდეგია ომის საშინელის ძალ-მომრეობისა და უმეცრებისა. და ამ იდეალებ წინ აუცილებლად დაჰფრინავს ცდუნებით აღსავსე სახე თავისუფლებისა...

როცა ათ-მილიონობით არა ველური და არა ნადირი ხალხი რამდენისამე თვის განმავლობაში იხოცება და იღვიძებს სამხედრო ჭექა-ქუხილის სისხლით შეღებილ ელვის ქვეშა, როცა ყოველ დღე დიდის ასოებით იბეჭდება გაზეთებში ევროპის სხვა ცნობათა წინ, ევროპ. ნიჭითა და გონებით აღბეჭდილ ნაწარმოებთა წინ ცნობანი, სად რამდენი კაცი და ზარბაზანი მოიკლა, დაიჭრა და დასახიჩრდა, როცა საჩუქარი, ჩინი და ორდენი ეძლევა იმათ, ვინც უფრო მეტი ხალხი გასწყვიტა, როცა მთელი ტომი, მთელი სახელმწიფო, ათასი წლის განმავლობაში მშვიდობით და მეურნეობით შეხორცებული ჩვენს მეზობლად, იწოდება «მტრად» და ეს იდეალი, მოუსვენარი მტერი თავს დასტრიალებს და ზედ დასწოლია ისეთს სახელმწიფოს როგორც რუსეთია, თითქო მაჯლაჯუნასა, თითქო სისხლის მსმელი ობობასა, როცა ათას თვის განმავლობაში სივდება და მუწუდება სახელმწიფო ცხოვრების ის ადგილი, რომელიც შეუგუებია ევროპა ხერხებისა და ნაწილის ძარღვებისა, განა რა საკვირველია, რომ საზოგადოებამ მოინდომოს მოშორება ამ მაჯლაჯუნასი, დავიწყება ამ ტკივილისა და სიყვარულითად მეტად შემეცნიერის და სახელოვან იდეალებისა?!.

თეატრი და ხელოვნება

მე-10 ქართული წარმოდგენა. ოთხშაბათს, 15 დეკემბერს, ტფილ. სახაზინო თეატრში ქართულ დრამის ამხანაგობამ გამართა მე-10 ქართული წარმოდგენა, ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, წარმოდგენილ იქმნა «ყაჩაღები», ტრაგედია 5 მოქმ., თხზ. შილლერისა, თარგ. ნ. ავალიშვილისა. ბევრჯერ თქმულა და დაწერილა, რომ ვლ. ალექსი-მესხიშვილის რეპერტუარში მისი ერთი საუკეთესო როლი—გრაფ ფრანც-მოორის როლია, და ეს ერთხელ კიდევ დაამტკიცა ოთხშაბათის წარმოდგენამ, რომელმაც საზოგადოება საკმაოდ მიიზიდა. განსაკუთრებით საუცხოვოდ ჩაატარა პატივცემულმა მსახიობმა სცენა ბაღში ამალიასთან (ქ-ნი ო. ლეჟავა) და ბოლო მოქმედება, რომელმაც, საუბედუროდ, სამწუხარო შემთხვევით ჩაიარა: მსახიობი თოკზედ ჩამოკიდების დროს მოულოდნელად ძირს ჩამოვარდა და მარცხენა ხელი იღრძო. საჩქაროდ ექიმები მოიწვიეს, ხელი შეუხვიეს და კულისებში დააწვინეს ცოტა ხნით; საზოგადოება კი არა მშვიდდებოდა, ტაშს უკრავდა და თხოულობდა, რომ მსახიობი გამოსულიყო, მაგრამ ბ-მა კ. მესხმა გამოაცხადა, მესხიშვილი უქეიფოდ შეიქმნა და ვერ გამოვაო. საზოგადოება, როგორც იყო დაიშალა და მსახიობის უქეიფობამ დიდად აღელვა ხალხი.

მშვენიერი მაქსიმილიანე ფონ-მოორი იყო ბ-ნი ი. ივანიძე: საუცხოვო გრიმი, მშვენიერი დიქცია და ყოველი წვრილმანი მეტად კარგად ჩაატარა. რამდენადაც ბ-ნნი ვლ. მესხიშვილი, გ. გედევანოვი (პასტორი), კ. შათირიშვილი (შვეიცერი), ვ. შალიკაშვილი (ჰერმანი) და ი. ივანიძე კარგები იყვნენ, იმდენად სუსტობდნენ ბ-ნნი ს. სვიმონიძე (კარლოსი), ყალამბეგიშვილი (როლლერი), დანელი (წუწუნავა) და მეტრეველი (შპიგელბერგი) და ქალბატონი ოლღა ლეჟავა (ამალია). თუმცა ბ-ნ სვიმონიძეს რამდენჯერმე უთამაშნია კარლოსის როლი, მაგრამ მაინც ამ საღამოს ჩვეულებრივ სუსტობდა. ვერ გავიგეთ, რითი ხელმძღვანელობდა ბ-ნი რეჟისორი, როდესაც ისეთი საკმაოდ რთული როლი, როგორიც შპიგელბერგის როლია, მეტრეველს მიანდო მაშინ, როდესაც დასში იმყოფებიან ისეთნი მსახიობნი, როგორნიც არიან ბ-ნნი ვალ. გუნია და ჩარკვიანი; მართალია, არც პირველხარისხოვანია შპიგელბერგის როლი, მაგრამ არა გვგონია, რომ ზემოხსენებულ პატივცემულ მსახიობთ დაეწუნებინათ, მით უმეტეს, რომ ვალ. გუნიას უფრო დაბალ ხარისხის როლიც უთამაშნია ამ პიესაში—როლლერისა. უნდა უსაყვედუროთ ბატონს რეჟისორს აგრეთვე, რომ ამალიას როლი მიუნდვია მსახიობ-ქალის ქალბატონ ოლ. ლეჟავასათვის, მაშინ როდესაც ამ როლს ქ-ნი ნინო ჩხეიძე მშვენივრად ასრულებდა; თუ იტყვიან, ავად იყო, ან ტფილისში არ იმყოფებოდაო, სიცრუე იქნება, რადგანაც ქ-ნი ნ. ჩხეიძე წარმოდგენას ესწრებოდა. ქ-ნი ოლ. ლეჟავა კარგი მსახიობია, მაგრამ ჯერ ისეთს რასმე ვერ მოსთხოვთ, რაც მისს ძალას აღემატება: ჯერ კიდევ დიდი შრომა და მეცადინეობაა საჭირო, რომ ქ-ნმა ოლ. ლეჟავამ უნაკლულოდ შესძლოს ამისთანა როლის შესრულება.

სტატისტები, როგორც ყოველთვის, არეულ-დარეულად ჰყიროდნენ და არეულ-დარეულადვე შედიოდ-გამოდიოდნენ. ნეტა ოდესმე ეშველება რამე ამ სენს? შრომა-მეცადინეობა სთქვით, თორემ სტატისტთა მომზადებაც შესაძლებელია, რაიცა «ფალატის» წარმოდგენამ უკვე დაამტკიცა: ამ დღეს კარგად მოემზადებინათ სტატისტები.

საზოგადოება, როგორც ვსთქვით, საკმაოდ დაესწრო წარმოდგენას.

ქუჩუკი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

დილის დეპეშები.

15 დეკემბერი.

პეტერბურგი. ოფიციალური. გენერ.-ლეიტ. სახაროვის დეპეშა უმთავრეს შტაბის სახელზე 14 დეკემბრის თარიღით: «14 დეკემბერს შებრძოლების შესახებ ცნობები არ მოგვსვლია. კავკასიის ბრიგადამ დაზვერა მარჯვენა მხარე ხუნხესა. 12 დეკემბერს ერთი რაზმი იმისი მივიდა სოფელ ბეიციაგოუსთან; აქ ჰნახეს იაპონელები, რომლებიც იმალებოდნენ თხრილებში, გადაცვივდნენ პოდესაულის მისტულოვის უფროსობით. იაპონელნი გაიქცნენ, იმათგან 17 კაცი დასჩეხეს. აღარ გამოეკიდნენ გაქცეულებს, რადგან წამოეშველნენ. ჩვენ სასიკვდილოდ დაგვიჭრეს და გარდაიცვალა ასისთავი თავადი ელდაროვი, პოდ-ესაული მისტულოვი ორი ტყვიით დაიჭრა, მაგრამ ისევ ჯარში დარჩა. იმას მერვე დარტყმის დროს ხმალი გაუტყდა. 5 ჯარის კაცი მოჰკლეს და 5-იც დაიჭრა. 12 დეკემბერს მზვერავები ხორუნჟის იაკშინის უფროსობით წააწყდნენ 22 ცხენოსან იაპონელს და ხმალ და ხმალ დაერივნენ. ზოგი იაპონელი დასჩეხეს, ზოგნიც გაიქცნენ. ამ დროს ჯარის კაცმა ნამრანოვმა ტყვედ დაიჭირა იაპონელი ვახმისტრი. 12 დეკემბერს ლინშიპუში ჩვენს რაზმს უნდოდა სახლები ჩაეგდო ხელში, რომელიც 10 დეკემბერს ჩაიჭიეს, მაგრამ მტერი ერთობ ახლო იყო და ვერ მოახერხეს. ერთი ნაწილი, თუმცა ძლიერ ესროდნენ, მაინც მიიჭრა სახლებთან. თავი ვერ შეაფარეს შიგ, რადგანაც ერთი მხარე კედლისა ჩამოქცეულიყო და მტერი პირდაპირ ესროდა. რაზმს დაუჭრეს ზაურიად-პრაპორშჩიკი პროკუდინი და ორი ჯარის კაცი, მაგრამ მაინც სახლები ხელთ ჩაიგდეს ჩვენებმა. როგორც ნამდვილად შევიტყეთ, იაპონიის აფიცრები წინამძღოლობენ ხუნხუზების ბრბოებსა, რომელნიც კარგად არიან გაწვრთნილნი. როგორც მოკლულ ხუნხუზთა უბის წიგნიდან შევიტყეთ, ისინი იაპონელებს ჯამაგირზე ჰყოლიათ; მაგალითად: ასისთავს 20 მან. ეძლევა, ვახმისტრს 20 მ., უნტერ-აფიცერს 18 მ., ჯარის კაცს 13 მან. თვეში.

პეტერბურგი. ოფიციალური. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ბარონ კაულბარსისა 14 დეკემბრის თარიღით: «უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას, რომ დღეს გავათავე მესამე ლაშქრის ბინების შემოვლა, პირადად გამოვუცხადე თითეულს როტას და ბატალიონს უუმოწყალესი მადლობა თქვენის უდიდებულესობისა სამსახურისათვის. ამან აღუწერელი სიხარული გამოიწვია და თქვენს საღვთეოდ და საბედნიეროდ დიდგრიალებ რუსული «ურა», რომელიც ქუხილივით მოედო პოზიციებსა. ჯარები მშვენიერ გუნებაზეა. საბრძოლველ პოზიციებიდან უკან გასვლა არავისა ჰსურს; ხალხი ჯანმრთელად და მხნედ გამოიყურება, რადგანაც კარგი საჭმელი აქვთ. მიწურებში საკმაოდ თბილა. საზოგადოდ ყოფა მდგომარეობა საუცხოვოა».

ლონდონი. (რეიტერი). «ტაიმსი»-ც აღიარებს, რომ დიდი ზარალი მოუვიდათ იაპონელებს ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში.

ტოკიო. (რეიტ.). სამხედრო მთავრობამ გამოაცხადა სია, რომლიდანაც სჩანს, რომ 33 აფიცერია მოკლული და 56 დაჭრილი, ეტყობა პორტ არტურთან. საზღვაო მთავრობა აცხადებს, 9 აფიცერი და 65 მეზღვაური დახოცილან სხვა და სხვა სამსახურის დროს. სად მოხდა ეს, არ არის ნათქვამი. ალბად ერთი კრეისერთაგანი დაეტაკა ნაღმს და ჩაიღუპა, ან დაზიანდა.

ში, მაგრამ გამგეობას გაუხვევია ეს ნივთები ცალკე ქაღალდში და ჩაუდევს ცალკე კოლოფში, თითქო რაღაც ქირიანი რამ. გამგეობას არ უცვნია საჭიროთ შეედგინა ამ ნივთთა ცალკე სია და გამოერკვია, თუ ვის ეკუთნოდენ ისინი. გამომძიებელს სულ წარმოუდგენია 17 ნივთი ღირებული 855 მანეთად და 50 კ.» შემდეგ განაგრძობს კომისია: «ბანკზედ დარჩენილ ნივთთა მეტი ნაწილი ვერცხლისაა. ისინი დარჩენია ბანკს 10 წლის წინათ, ე. ი. იმ დროს, როცა ვერცხლის ფასი ყოფილა საკმაო დიდი. ახლა კი ვერცხლის ფასი დაწეულა თითქმის ნახევრამდე, ასე რომ ამ დარჩენილ ნივთებში ბანკი უსათუოდ ნახავს ზარალს. გამგეობას რომ თავის დროზე მიეღო შესაფერი ზომები, ბანკი არავითარ ზარალს არ ნახავდა. ახლა კი სარგებლის გარდა თვით ამ ნივთებზედ გაცემულ სესხიდან დაკარგავს არა ნაკლებ 20%-ს. გარდა ამისა 1903 წლის ანგარიშით ვადა გასული სესხი უდრის 902 მ. და 30 კ. ამ ფულში, კომისიის აზრით, ბანკი იზარალებს 200 მ, საერთოდ კი ამ ოპერაციის სრული ზარალი ადის 1,625 მ. 50 კ.

5, 6, 10, 11, 12, 13 და 14 დარგებში კომისიას არ უნახავს არავითარი ნაკლი და უწესოება, ან რაიმე ზარალი, ხოლო № 10 დარგის შესახებ, იგი შენიშნავს რომ ბანკს უნდა ჰქონდეს თავისუფალი 760,857 მ. რომ დაფაროს ამ ორ წელში ვადიანი და უვადო შემოტანილი ფული და მიმდინარე ანგარიშებიო.

7. მისაღები ხარჯები. ამ გვარ ხარჯებში გამგეობას შეაქვს სარგებლიან ფურცლების ყიდვა-გაყიდვა კლიენტთა ანგარიშზედ, თამასუქების პროტესტი და სხ., ეგრეთვე ბანკის მოხელეებზედ გაცემული ავანსები. კომისია შენიშნავს, რომ გამგეობა არ ღებულობს შესაფერ ღონეს ამ გვარ ხარჯების მისაღებათ. ზოგიერთ პირებზედ ამგვარი ხარჯები ირიცხება ათ წლობით და ეს მოვლენა სრულიათ არ აწუხებს გამგეობას, რის გამოც ბანკს მოსვლის ზარალიო. ამ დარგში მომხდარ ზარალს კომისია რაცხს 2104 მანეთამდე:

8. სათადარიგო თანხა.—«ბანკის სათადარიგო თანხა უდრის 62,375 მ. და 88 კაპ. ამ ფულიდან 61,700 მანეთად ნაყიდი სახელმწიფო სარგებლიანი ფურცლები, რომელიც დაუგირავებიათ 55,000 მანეთად, ეს ფული კი უქცევიათ მომქმედ თანხად, რითაც დაურღვევიათ ბანკის წესდების §74-იო».

9. უძრავი ქონება. ბანკს შეუძენია ქუთაისში მიწა 800 კ. საჟენი და და აუგია შენობა. ყოველივე ეს დამჯდარა 74,694 მან. და 99 კაპ. ამ ფულში დაუფუკავს მხოლოთ 17,058 მ. და 11 კაპ., ასე რომ ვალი რჩება კიდევ 55,646 მან. და 88 კაპ. შენობა დაუგირავებიათ ქუთ. სათავად-აზნაურო ბანკში 84 ათას მანეთად. კომისიის აზრით, ეს ბანკის ქონება ღირს სულ არა უმეტეს 100 ათასი მანეთისა, ასე რომ ამ მამულის გაყიდვით ვერ დაფარავენ ამ მამულზედ მდებარე ვალებსაო.—

სვიმონ ქვარიანი

ᲚᲐᲜᲓᲝᲜᲘ. (რეიტერი) მოგადოდან მოსულ გემის მოგზაურებმა სთქვეს, ზღვაზე ვნახეთ, კანარის კუნძულებთან რამდენიმე რუსის გემი და ტარანსპორტები, სამხრეთად მიმავალნი. ინგლისის კრეისერმა დაინახა თუ არა ესა, მაშინვე წავიდა.

ᲢᲝᲙᲘᲝ. (რეიტ.) პორტ არტურის მეციხოვნე ჯარს იმედი აქვს, რომ 1 მარტისთვის მოეშველებიან. უწონდებურად მხნედ არიან მეციხოვნენი. გადასწყვეტეს, უკანასკნელ კაცამდე გასწყდნენ.

ᲢᲝᲙᲘᲝ. (რეიტერი). ნამდვილს წყაროდან იტყობინებიან, რომ გენერალი სტესელი ცხენიდგან ჩამოვარდა და დაშავდა.

ᲢᲝᲙᲘᲝ. (რეიტერი). პირთა პალატამ მიიღო სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვა ისე, როგორც პირველად იყო შედგენილი. მიიღო ჩვეულებრივი ხარჯთ-აღრიცხვა 1905 წლისა იმ ცვლილებით, რომელიც დეპუტატთა პალატამ შეიტანა. პირთა პალატამ სხვა ახალი ხარჯებიც, რომელიც დეპუტატთა პალატამ მოიწონა, შეიწყნარა. იაპონია დასთანხმდა, მოელაპარაკოს შეერთებულ შტატებს, რომ სამედიატორო სამართლით გაირჩეს საქმეები.

ᲙᲝᲚᲪᲘ. 11 დეკ. საღამოთი ელინისა და რადოს შუა რკინის გზის ორი ხიდი დაუნგრეიათ.

16 დეკემბერი.

ᲢᲝᲙᲘᲝ. 14 დეკ. (ბერლინით) ბევრს ლაპარაკობენ იაპონიის სამხედრო მინისტრის სიტყვების გამო: „ჩვენ ძმიდან ვმოქმედობ“ დიდ, უფრო ჩქარი მოქმედება უნდა დავიწყოთ“. ამის გამო მოსალოდნელია იაპონელებმა სატევი ბრძოლა დაიწყონ, ოდოგორც-კ იოიამას ლაშქარს ახალი ჯარი მიეშველება.

ᲢᲝᲙᲘᲝ. 15 დეკ. (რეიტ. სააგ.) ჰფიქრობენ, ტოგო კამიმურასა და სხვა აფიცრებთან ერთად 17 დეკემბერს მივა ტოკიოში იმპერატორთან გამოსაცვალებლადო.

ᲰᲝᲜᲒᲙᲝᲜᲒᲘ, 15 დეკ. (რეიტ.). ამოიში მოვიდა იაპონელთა ერთი დიდი კრეისერი. ზღვაში შენიშნეს ჰონგკონგის მახლობლად იაპონელთა ორი კრეისერი.

ᲨᲐᲜᲒᲐᲘ. 14 დეკ. (ბერლინი). კუნძულ ფორმოზიდან ჯარის გადაყვანა სწარა მოეს. გადაჰყავთ ერთი დივიზიაზე მეტი. ნამდვილად არ იციან, მეშვიდე დივიზია შეუერთდა თუ არა იმ ჯარს, რომელიც პორტ არტურს გარს არტყია. ჰფიქრობენ, არ შეერთებულა, რადგან იერშის მიტანაში ცოტანი იღებენ მონაწილეობას. ჩრდილო ფრონტზე 5,000 კაცზე ნაკლები იყო.

ᲢᲝᲙᲘᲝ, 15 დეკ. (რეიტ. სააგ.). გამოცხადებულია სია 18 ივლისისა და 86 დაჭრილ აფიცრისა, რომელნიც, ალბად, პორტ არტურთან იქმნენ მოკლულნი. ამტკიცებენ, ცენტრისა და აღმოსავლეთ ფრონტების პირდაპირ იაპონელნი თხრილებს აკეთებენ და ნადმებს აწყობენნი. ს�მეს საჩქაროთ აკეთებენ.

იაპონელთა მარჯვენა ფრთა ნაოფიცრად მოქმედებს და ზარბაზნებს უშენს ახალს ქალაქს, აპირებენ ახალ იერიშს, ალბად, ციხის დასავლეთ მხარეზე. ზარბაზნების სროლითი რუსის ჯარს ასუსტებენ

საღამოს დეპეშები

16 დეკემბერი

ᲡᲣᲓᲐ, 15 დეკ. (რეტ.). რუსეთის კრეისერმა «რიონ»-მა გაიარა, ნადმოსანი «გროზნი» ისევ პირაეში დაბრუნდა.

ᲩᲘᲤᲣ. 15 დეკ. (რეიტ.). დაკონებით ლაპარაკობდენ, პორტ არტურიდგან რამდენიმე ნადმოსანი გაიპარა და ვლადივოსტოკში მივიდაო. ეხლა ამ ხმას უარჰყოფენ აფიცრები გემის „ელდამი“-სა, რომელიც დღეს ვლადივოსტოკიდგან მოვიდა. აფიცრები ამის გარდა ამბობენ, ადმირალ სკრიდლოვის კრეისერები უკვე შეკეთებულიაო. — ამბობენ, იაპონელებმა მოახერხეს და მაღალ მთაზედ (პორტ არტურთან) ორი 28 სანტიმეტრიანი ზარბაზანი დადგესო.

ᲢᲝᲙᲘᲝ, 17 დეკ. (რეიტ.). 3 დეკემბერს დატყვევებული რუსის ჯარის კაცი ამბობს, რომ იაპონელების მიერ 203 მეტრიან გორის ადგილს შემდეგ ამ ფორტის მეცხრეზე ჯარმა დაიწია იმუშაზნი, სადაც 15 ზარბაზანია დადგმული; მათ შორის 5 საბარო. რუსებმა პოზიციებზედ იაპონელთა ბრანდერეიდგან გადმოდებული ზარბაზნები დადგეს. ეს ის ბრანდერეებია, რომლითაც იაპონელებს პორტ არტურის შესავლის შეკვრა უნდოდათ. რუსების მთავარი სადგომი სამის კვირის წინად ლიაოტეშანის ძირზედ გადაიტანეს. იეუშანის მეციხოვნე ჯარი მე-5 ქვეითა პოლკის მე-4 და მე-9 როტებისაგან შესდგება. იეუშანს გარ-შემორტყმული აქვს ექვსი რიგი პალისადისა; ხანდაკების ზეგიდგან ხეები და მიწით გატენილი ტომრები აქვს დაურილი. იაპონელები იქ, სადაც იმათი მარცხენა ფრთეს შუბლია, სანეტენერო მუშაობას განაგრძობენენ. რუსები იაპონელებს ერლუშანისა და ანტუშანის მხრიდგან მედგარ წინააღმდეგობას უწევენ. — ამბობენ, რომ ციხდადგან ჯავშნიან გემ «ცესარევიჩ»-ის ოთხი აფიცერი სადღაც გადაკარგნო.

ᲨᲐᲜᲒᲐᲘ, 13 დეკ. (რეიტ.) იაპონელებს აქვთ ამ ქალაქ ხუთი წყალ-ქვეშ მავალი ნავი.

ᲨᲐᲜᲒᲐᲘ, 15 დეკ. (რეიტ.) ჩინეთის მთავრობა აპირობს დაითხოვოს გერმანელნი სამხედრო ინსტრუქტორები და მათ მაგიერ ჯარების გასაწვრთნელად იანცეკიანგის რაიონში იაპონელებს.

ᲰᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. (ოფიციალური). უქვეშევრდომილნი დეპეშა გენ.-ადიუტ. კუროპატკინისა 15 დეკემბრის თარიღით: «ბრძოლის თაობაზედ 15 დეკემბერს მოახსენებს არა მოსულა-რა. ზემოხსენებულს უქვეშევრდომილესად მოვახენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას».

დროებით რედაქტორი **ᲒᲠ. ᲫᲘᲜᲨᲕᲘᲫᲔ.**

გამომცემელი **Ა. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

ᲒᲐᲛᲝᲪᲚᲐᲓᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ:

ᲰᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ

14 დეკემბერს 1904 წ.

ᲕᲔᲦᲘᲡᲘᲡᲣᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ 3 თეთრ:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიეში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,50
ბერლინში „	46,30
პარიეში „	37,55
პარიეს დისკონტი.	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა	91¼ ნ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამფლო ბანკისა	89 ნ. გაყ.
5% პირ. შინაგ. მოგბ. ბილ. 1864 წ.	423 ნ. გაყ.
5% მეორე შინაგ. აესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	316 წ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	265 წ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო სახოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე სახოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცულ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ. მამ. ბანკის გირ ფურცულ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲔᲑᲘ:

ᲫᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ.—მიხეილის ქუჩა, სახალხო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან თვეში.

ᲫᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲠᲝᲜᲚᲝ.—მეხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ასიფოვისა. რჩევა უფასოა, ღრმა თათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექმნი გ. თარხანოვი

ᲫᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲠᲝᲜᲚᲝᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘᲡᲯᲐᲜᲘ:

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ.—კაბეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანეი.

ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

ᲑᲐᲠᲗᲣᲩᲘᲡᲘᲡ—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათეოსიანეი.

ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲠᲝᲜᲚᲝᲡ.—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, №15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირეკტორის თანმდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

ᲫᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ ᲡᲣᲚᲘᲗ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲗᲐᲗᲕᲘᲡ—უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

ᲡᲘᲤᲘᲚᲘᲡᲘᲗ ᲐᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ ᲫᲐᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ — საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი —ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტომანოვი.

ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘ ᲡᲔᲜᲘᲗ ᲐᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲗᲐᲗᲕᲘᲡ უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანეი.

ᲫᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲣᲤᲐᲡᲝ ᲝᲠᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ძელიკიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

წყნეთის ქუჩის თავში, გაბაშვილის სახლში, საცა მილის წყალის ონკანია გაიმართა

ᲡᲐᲒᲐᲡᲢᲠᲝᲜᲝᲛᲘᲝ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

იყიდება საუკეთესო საუზმეულობა, თევზეული და შემწვარ-მოხარშული ქათამი და ინდოური. შეიძლება შემოკვეთა ინდოურისა დამდეგ ბედნიერ დღეებისთვის.

(5—1)

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡᲐ ᲡᲐᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ

ამ წლის იანვისის 7-ს ქ. ტფილისში დაარსდა წიგნების კომისიონერი ამხანაგობა «სხვაი», რომელსაც საკენო აქვს ჭბეჭდის ქართული სახალხო და საუმაწვილო წიგნები მეცნიერების ყველა დარგისა და სტატეგორეობის.

ამხანაგობა დაწყებულ თავის მოქმედებას მოიმავდ 1905 წლის თებერვლიდან.

ამხანაგობის დამფუძნებელმა წევრებმა ამოარჩიეს დირექციონი საერთო კომისია, რომელსაც დაეკვლეს მოამზადოს შესაფერი მასალა გამოსაცემად.

ამხანაგობას ჯერ-ჯერობით ახლად აქვს გამოსცემა შემდეგნი დარგის ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებანი: საკმაო, საშეუნეო, ისტორიული და პოპულარულ-ეკონომიური.

ხსენებული დრამებია რედაქტორ სახოგ ბ-ნი ავტორეს, მოაწოდონ თავიანთი თხზულებანი კომისიისად და გამოსაცემად.

რედაქტორ სახოგ-ავტორეს ნაწარმოებთან ერთად აგზავნიან მას წერილი: რა პირობებით სურთ დაუთმონ ამხანაგობას თავიანთი თხზულებანი.

ნაწარმოების გამოგზავნა შეიძლება შემდეგის აღრესით: ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილს (ქ. ტფილისი, იზმაილოვის ქ. № 44.), ანუ ალექსანდრე გრიგოლის ძეს სოლოლაშვილს. (ქ. ტფილისი, გოდოგოლის ბრაწ. № 12).

სარედაქტო კომისიის წევრნი: ალ. სარაჯიშვილი, ს. დდოტი. ს. გორგაძე, ალ. სოფოდაშვილი.



ᲛᲝᲚᲘᲗᲮᲝᲕᲔᲗᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲑᲐᲜ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ

„ᲝᲓᲝᲑᲠᲘᲜᲘ“ მ. Ჯ. ᲚᲔᲑᲔᲓᲔᲕᲘᲡ

ეს წამალი სრულიად აჭრობს რამდენსმე დღეში ძველს ბეგერას და მეტ-ბორცლძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში — საადთიაქო საქონლის კავკასიის საავეკრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში მაქსა და ბათუმში.

(0 5—16)

გამოვიდა და იყიდება

ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲒᲘ

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ ბიბლიებისა.

ᲤᲐᲡᲘ 15 ᲙᲐᲞ.

ვისაც სურს ყიდვა, მიმართონ ქართულ ლრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—3)

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲛᲐᲬᲘᲚᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

„ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘ“

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲗ

ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲪᲔᲛᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲖᲠᲓᲘᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის, პედაგოგიური ფურცლის დამატებით.

ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡᲒᲐᲜ 1 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ 1 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ერთად ორივე გამოცემა ლირს წელიწადში 5 მან. ცალცალე 3 მან., ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მან. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მანეთიც შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კ., მცირე-წლოვან ყრმათა — 15 კაპ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩ., № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიანი.

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲐᲔᲓᲔᲑᲐ: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

ფოსტის აღრესი: Тифлисъ, редакція журнала «НАКАДУЛИ».

Открыта подписка на 1905 годъ, XII годъ изданія,

НА ЕЖЕНЕДѢЛЬНУЮ ГАЗЕТУ

„КАВКАЗСКОЕ СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО“

органъ Императорскаго Кавказскаго Общества Сельскаго Хозяйства,

Газета выходитъ по четвергамъ, безъ предварительной цензуры,

ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГРАМѢ:

1. Руководящія статьи по техническимъ и экономическимъ вопросамъ сельскаго хозяйства Кавказа. 2. Популярныя статьи (оригинальныя и переводныя) по полеводству, молочному хозяйству, садоводству, виноградарству и винодѣлію, щелководству, лѣсоводству, техническимъ производствамъ и проч. 3. Хроника и корреспонденціи. 4. Отчеты хозяевъ о произведенныхъ ими въ своихъ хозяйствахъ опытахъ и наблюденіяхъ. 5. Обзоръ литературы, русской и иностранной, по вопросамъ, относящимся къ Кавказу. 6. Сельско-хозяйственныя статистическія и рыночныя свѣдѣнія о производствѣ и потребленіи сельскохозяйственныхъ продуктовъ, о видахъ на урожай, о цѣнахъ на продукты; тарифы. 7. Правительственныя распоряженія. 8. Протоколы, доклады и отчеты Общества и его органовъ. 9. Критика и библіографія. 10. Вопросы и отвѣты. 11. Сельскохозяйственный календарь. 12. Домоводство. 13. Справочный указатель. 14. Смѣсь. 15. Метеорологическія наблюденія. 16. Объявленія.

ЗАДАЧА ГАЗЕТЫ заключается въ установленіи болѣе живой и тѣсной связи между обществомъ сельскаго хозяйства и хозяевами Кавказа, съ цѣлью, во первыхъ, совмѣстной разработки сельскохозяйственныхъ вопросовъ Кавказа и, во вторыхъ, распространенія среди населенія необходимыхъ сельскохозяйственныхъ знаній.

Въ отдѣлѣ „Вопросы и отвѣты“ газета, при содѣйствіи спеціатистовъ, будетъ своевременно давать хозяевамъ отвѣты на тѣ вопросы, съ которыми они будутъ обращаться въ редакцію или бюро Общества сельскаго хозяйства.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА съ доставкой и пересылкой: на годъ—4 руб., полгода—2 руб., ¼ года—1 руб. и 1 мѣсяцъ—40 к.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ Тифлисѣ, въ редак. „Кавк. Сельск. Хоз., Барятинская улица, собственный домъ.

(3—3) Отвѣтственный редакторъ *А. А. Калантаръ.*

1905 г. **Таразъ** XVI г.

Художественно-литературно-научно-критическій ежедневный, единственный иллюстрированный на армянскомъ языкѣ журналъ ТАРАЗЪ въ 1905 г. будетъ выходить по той же разнообразной и широкой программѣ, какъ въ прошедшіе XV лѣтъ. *Цѣль, направленіе и стремленіе* ТАРАЗА—распространеніе среди армянъ правильныхъ взглядовъ на красное, доброе и полезное.

Литература, Наука, Искусство, Воспитаніе, Критика составляютъ основу журнала ТАРАЗЪ Газетные отдѣли ТАРАЗА—Правит. распоряженія, Телеграммы, Корреспонденціи со всѣхъ угловъ Кавказа, Закавказа, Закаспійскаго края, равно съ умствен. промыш. центровъ Имперіи, заграницы и пр. дѣлаютъ ТАРАЗЪ необходимымъ органомъ печати для всѣхъ слоевъ общества, а отдѣлы Гигіены, Развлеченій, Домашняго Хозяйства, Модъ, Музыки и т. д.—популярнымъ изданіемъ во всѣхъ семействахъ. Годовая плата ТАРАЗА съ пересылкою и доставкою 6 р., заграницу 10 р. Отдѣльные №№ 20 к. Подписчикъ ТАРАЗА, который выпишетъ иежемѣсячн. жур. АГБЮРЪ, доплачивая 1 р. получитъ премію.

Адресъ: тифлисъ, Редакція жур. ТАРАЗЪ.

Tiflis, Caucase, Redaction de la Revue TARAZ

Редакторъ-издатель Т. Я. Назарьянъ

1905 г. **Ѧгбюръ** XVI г.

Иллюстрированный на армянскомъ языкѣ, единственный журналъ АГБЮРЪ для *дѣтей, родителей и наставниковъ.*

Задача журнала АГБЮРЪ—*правильное воспитаніе и обученіе подрастающаго поколенія, любовь къ природѣ, наукѣ и къ ближнему.* Богатая программа журнала АГБЮРЪ даетъ полную возможность редакціи широко и многосторонне обхватывать вопросы, интересующіе подрастающее поколеніе и ихъ родителей—наставниковъ. Годовая плата жур. АГБЮРЪ 3 р., заграницу 5 р *Премію* получаютъ лишь тѣ изъ подписчиковъ АГБЮРА, которые одновременно запишутся и на *художественно-литературѣ еженедѣльный нашъ жур. ТАРАЗЪ.*

Адресъ: Тифлисъ. Редакція жур. АГБЮРЪ.

Tiflis, Caucase, Redaction de la Revue AGBUR.

Редакторъ-издатель Т. Я. Назарьянъ

ვისაც უნდა დაიკვეთოს 1905 წ.

ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ (ᲡᲐᲗᲕᲔᲗ)

„ᲪᲝᲓᲜᲐ“

ᲛᲘᲮᲔᲐᲜᲗᲝᲜ ᲡᲝᲡᲘᲝᲜ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔᲡ.

✦ კალენდარი ჰღირს ორ შაურად ✦

ვინც ერბაზად ასს ცალზე მეტს იყიდის, კალენდარი დაეთმობა

ᲫᲔᲡᲘ-ᲫᲔᲡᲘ ᲙᲐᲠᲗᲘᲐᲓ.

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, № 12.

ფოსტით: მისამართი Тифлисъ. Книжный магазинъ „ЦОДНА“.

(10—10).

Дозволено цензурою Тифлисъ, 16 декабря, 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинарія